

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის  
სხდომის ოქმი

№2

ქ. ქუთაისი

8 აპრილი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- |                  |   |
|------------------|---|
| ნოდარ მიქიაშვილი | - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.  |
| ირაკლი ავალიანი  | - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.                         |
| მალხაზ ხასილაძე  | - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| ირაკლი გიორგაძე  | - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.                                 |

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში გელათის ქუჩის ნაწილის, ბროსეს ქუჩის, ვარლამიშვილის და ფალიაშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანტის ფილებით, ტროტუარებით, ზორდიურებით, შშმ პირებისათვის პანდულებით და დვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1587. 02.04.2015 წ.)

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში - მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა: შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა“ - 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარზე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 8 აპრილის 13:00 საათამდე პერიოდით.

განხილვის:

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა“  
მიიღო - 10,8 ქულა

აზრი გამოთქვას:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა,  
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში გელათის ქუჩის ნაწილის, ზროსეს ქუჩის, ვარლამიშვილის და ფალიაშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარებით, ბორდიურებით, შშმ პირებისათვის პანდუსებით და ღვარსადენი სისტემებით მოწყობის საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველს“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად - საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე